პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
21 აპრილი
1939 წ.
№ 91 (5491)
ფასი 10 კაპ.

ჩინეთის საბოლოო გამარჯვება უზრუნველყოფილია

ჩან კაი-შის განცხადება

ჩუნცინი, 19 აპრილი (საკდესი). 17 აპრილს პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ჩან კაი-შის უარჰყო გავრცელებული ხმები, თითქოს საბავო მოლაპარაკება მზადდებოდეს ჩინეთის მთავრობასა და იაპონიას შორის. საუბრის დროს ჩან კაი-შიმ პასუხი გასცა ჟურნალისტთა შემდეგ კითხვებს:

კითხვა: „მოიპოვებიან ისეთი პირნი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კონოეს მიერ 1938 წლის დეკემბერს გამოქვეყნებული დეკლარაცია ახლაც შესაძლებელია მიჩნეულ იქნას ჩინეთსა და იაპონიას შორის საბავო მოლაპარაკების საფუძვლად. როგორია თქვენი აზრი ამ საკითხზე?"

პასუხი: „იაპონელების მიერ წამოყენებული ლოზუნგი „აღმოსავლეთ აზიაში ახალი წყობილების დამყარების შესახებ" ახალი არ არის. მაგრამ ეს ლოზუნგი აშკარად ადასტურებს იაპონიის დიდი ხნის მისწრაფებას დაიპყროს ჩინეთი და მოსპოს მესამე საერთაშორისო ურთიერთობანი და ინტერესები წყნარ ოკეანეს ბასეინში ე. ი. ის, რასაც მე შარშან დეკემბერში ვამბობდი. უდიდესი სირცხვილი იქნებოდა ჩვენთვის ეს ლოზუნგი საბავო მოლაპარაკების ბაზად მიგვეჩნია.

დამპყრობელებისათვის ჩვენ მიერ წინააღმდეგობის გაწევის მიზანია ჩვენი ნაციონალური ცხოვრების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვა. სანამ ეს არ იქნება მიღწეული, მანამდე ჩვენ ბრძოლას არ შეეჩერებით".

კითხვა: „მაშ როგორ შეიძლებოდა დამთავრებულიყო იაპონია-ჩინეთის ომი?"

პასუხი: „ეს ამბავთა მიმდინარეობაზეა დამოკიდებული. უნდა გავიგოთ, რომ 22 თვის ომის განმავლობაში იაპონიის საერთაშორისო მდგომარეობა გახანგრძლივებული ომის გამო გაუარესდა. უეჭველად ახლოვდება ისეთი მდგომარეობა, როდესაც იაპონია ვეღარ ბიტანს ომის სიმძიმეს. ზავის მიღწევა შესაძლებელი იქნება აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ იაპონელი მილიტარისტები მთლად ხელს აიღებენ თავიანთ განზრახვაზე დაიპყრონ ჩინეთი და თავს დაანებებენ თავიანთ ტრადიციულ აგრესიულ პოლიტიკას".

კითხვა: „როგორ განვითარდება სიტუაცია ვითარება? იბრძოლებს თუ არა ჩინეთი ბოლომდე თავისი გადაწყვეტილების შესაბამისად?"

პასუხი: „ჩვენი პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ტერიტორიის დათმობით დრო მოვიგოთ და საბოლოო გამარჯვებას მივაღწიოთ მტრის მთელი რიგი პატარ-პატარა, მაგრამ საგრძნობი დამარცხების გზით. ჩვენ მართლაც შეგვიძლია მძიმედ დავტვირთოთ მტერი თავს ის ფაქტი, რომ 22 თვის უსასტიკესი ბრძოლის შემდეგ ჩვენ შევძელით ხელუხლებლად შეგვენარჩუნებინა ასე ბევრი პროვინცია. იმ პროვინციებშიაც კი, სადაც მტერმა მთელი რიგი განადგურებული ცენტრალური ქალაქები დაიპყრო, ჩვენი არმიის კონტროლქვეშ რჩება სოფლის რაიონები მათი რესურსებითა და დიდი მოსახლეობით".

ამავე დღეს ჩან კაი-შიმ რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა „ხალხის ძხნობის მობილიზაციის კამპანიის ამოცანების შესახებ". ეს კამპანია პირველი მაისიდან იწყება. ჩან კაი-შიმ სხვათა შორის აღნიშნა: „მთავარი, რაც მოეთხოვება ყველას, ეს არის საბოლოო გამარჯვების რწმენა. საჭიროა მთელი ძალები დავრაზმოთ ამ ამოცანის გადასაწყვეტად. უნდა აღმოვფხვრათ აქა-იქ არსებული მისწრაფებანი კომპრომისისა და კაპიტულაციისადმი... დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ჩემი თანამემამულე გაიგებს ამ ამოცანებს და კიდევ უფრო ენერგიულად იბრძოლებს ჩინეთის რესპუბლიკის მომავლისათვის".

ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის 120 წლის შესრულების გამო სურათზე: ქიმიური ინსტიტუტის დირექტორი, — აკადემიკოსი ვ. ე. ტიშჩენკო და მისი შვილები: დოცენტი დიმიტრი ვიაჩესლავის-ძე (მარჯვნივ) და დოცენტი ვლადიმერ ვიაჩესლავის-ძე (მარცხნივ). აკადემიკოსმა ვ. ე. ტიშჩენკომ დიმისმა შვილებმა დაამთავრეს ლენინგრადის უნივერსიტეტი.
ფოტო ნ. იანოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

ლენინგრადის უნივერსიტეტის 120 წლისთავი

დღეს ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი ზეიმობს თავისი არსებობის 120 წლისთავს. 1819 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში მოხდა სანკტ-პეტერბურგის (ახლა ლენინგრადის) უნივერსიტეტის გახსნა. მაგრამ ეს ამბავი მაშინ მეცნიერთა ძხოლოდ ვიწრო წრემ გაიგო.

უნივერსიტეტში შესვლის სურვილი მაშინ 27 კაცმა განაცხადა, მაგრამ მათი მომზადების დონე ძალიან დაბალი იყო. მერე, როცა შემომსვლელებს ნაკლები მოთხოვნები წაუყენეს, უნივერსიტეტში 14 კაცი იქნა ჩარიცხული. გარდა ამისა, ყოველ ერთი კაცის ჩარიცხვაც შეიძლებოდა, მაგრამ ის ყმა ალმოჩნდა და ამიტომ იგი თავისუფალ მსმენელად მიიღეს.

1848 წლის რევოლუციამ დიდი გავლენა მოახდინა ლენინგრადის უნივერსიტეტის მოწინავე, დემოკრატიულ ახალგაზრდობაზე. სამაგიეროდ რეაქციასაც არ ეძინა. რეაქციამ აუკრძალა უნივერსიტეტს საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინებები, დაიხურა ევროპის სახელმწიფოთა სახელმწიფო სამართლის კათედრა, შეწყდა უცხოთის ლიტერატურის გამოწერა, შეცვლილ იქნა რექტორისა და დეკანების არჩევნობა, შეზღუდულ იქნა მიღება ფილოსოფიურ და იურიდიულ ფაკულტეტებზე, ფილოსოფიის კურსი ძეუერთდა ღვთისმეტყველების კათედრას.

ამ პირობებშიც შესძლო უნივერსიტეტმა აღეზარდა თავისი დროის მოწინავე ადამიანები.

ლენინგრადის უნივერსიტეტში სწავლობდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი **ალექსანდრე ილიას-ძე ულიანოვი.** ლენინგრადის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ეჭსტერნად აბარებდა გამოცდებს მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელი ბელადი **ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.**

უნივერსიტეტის ზრდასთან ერთად იზრდებოდა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა მღელვარებანი და გაფიცვები. ეს გარემოება აშინებდა მეფის მოხელეებს. რევოლუციური აღმავლობა განსაკუთრებით გაძლიერდა 1905 წელს. იანვრის ამბების შედეგად უნივერსიტეტში გაფიცვა გამოცხადდა. უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გამართულ მიტინგზე მეფის სურათი ნაფლეთებად აქციეს. პოლიციამ და ჟანდარმერიამ გააძლიერეს რეპრესიები.

1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტმა რევოლუციური ტალღის ახალი აღმავლობა გამოიწვია. უნივერსიტეტის შენობის წინ სტიქიურად შეიკრიბა მრავალათასიანი მიტინგი. ამ დღეს ერთი სტუდენტი მოკლულ იქნა. უნივერსიტეტში პოლიციამ განცხადება გამოაკრა: უნივერსიტეტი დაბურულიაო.

ასეთია მოკლედ უნივერსიტეტის წარსული. ახლა ლენინგრადის უნივერსიტეტი ერთი მოწინავე უნივერსიტეტთაგანია ჩვენს ქვეყანაში. უნივერსიტეტის მდიდრულად მოწყობილ კაბინეტებსა, ლაბორატორიებსა, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებსა, ბიბლიოთეკებსა და აუდიტორიებში ათასობით სწავლობენ საბჭოთა კავშირის ბედნიერი ახალგაზრდები. ლენინგრადის უნივერსიტეტში გამოზრდილი კადრები მუშაობენ სოციალიზმის ქვეყნის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე.

მარტო ჰიდრობიოლოგიის და იხტიოლოგიის კათედრამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გამოსცა სტუდენტთა 15 სამეცნიერო ნაშრომი და გამოსაცემად დაამზადა შვიდი. ასევე დიდ მუშაობას ეწევიან უნივერსიტეტის დანარჩენი კათედრებიც.

ახლა ლენინგრადის უნივერსიტეტში სწავლობს 5.717 სტუდენტი. თავისი სიდიდით ცალკეული ფაკულტეტები მსხვილ უმაღლეს სასწავლებლებს არ ჩამოუვარდებიან. მაგალითად, ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობს 1.234 სტუდენტი, ფილოლოგიურზე — 922, ბიოლოგიურზე—873. უკანასკნელი სესიების დროს აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტს ჰყავს 1.137 ფრაიდოსანი. ლენინგრადის უნივერსიტეტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივში 776 კაცი ითვლება, მას მეთაურობს 16 აკადემიკოსი, რომლებიც უნივერსიტეტში სწავლობდნენ, მაგალითად, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი კომაროვი, აკადემიკოსები: ბაიკოვი, ხუტორსკი, სტრუევი, ფავორსკი, მეშჩანინოვი, ტიშჩენკო, ლევინსონ-ლესინგი და სხვ.

ლენინგრადის უნივერსიტეტის 120 წლისთავის დღე სოციალისტური კულტურის გამარჯვების დღესასწაულია.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების ჩაბარება

19 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა ორდენები და მედლები ჩააბარა დაჯილდოებულთ.

ორდენები და მედლები მიიღეს აღმოსავლეთ ციმბირის ქვანახშირის ტრესტის № 5-ის შახტის მუშაკმა მემანქანემ ამხ. მ. გ. ვდოვიჩენკომ, იმავე ტრესტის № 7 შახტის უბნის უფროსმა ამხ. ა. ფ. ხვიდელიძემ, № 26 შახტის გამგემ ამხ. ნ. კ. გერასიმოვმა, ყარაგანდის ქვანახშირის ტრესტის № 1 შახტის ბრიგადირმა ყრილმნგრეველმა ამხ. ი. კიშკენტაევმა და მრავალმა სხვა სტახანოველმა, ინჟინერ-ტექნიკოსმა და სპეციალისტმა მუშაკებმა, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან განსაკუთრებული წარმატებებისათვის ქვანახშირის მრეწველობის განვითარების საქმეში.

ჯილდოები ეძლევათ „ვლავუვლადიმირის" ქარხნების იმ გამოჩენილ მუშაკთა ჯგუფს, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან ქვანახშირის მრეწველობის მანქანა-მოწყობილობის გამოშვების 1938 წლის გეგმის შესრულებისათვის და ცალკეულ უბნებზე მუშაობის სტახანოვური ნიმუშების მოცემისათვის.

ორდენები და მედლები ეძლევათ ელექტროსადგურების და ელექტროქსელთა მუშაკებს, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან იმისათვის, რომ სანიმუშოდ და შეუფერხებლად აწვდიდნენ ელექტრო ენერგიას დონეცის, მოსკოვის, კუზნეცკისა და ურალის ქვანახშირის აუზთა შახტებს.

შემდეგ ორდენები და მედლები ეძლევათ საფეიქრო მრეწველობის იმ მუშაკთა დიდ ჯგუფს, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან გეგმის გადაჭარბებისათვის და სტახანოვური მუშაობის მაგალითების მოცემისათვის.

ამხ. მ. ი. კალინინმა მიულოცა ყველა ამხანაგს ჯილდოს მიღება და შემდგომი წარმატებანი უსურვა მათ. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 15 წლისთავი

19 აპრილს შესრულდა 15 წელი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შექმნის დღიდან.

— გასულილი წლების მანძილზე, — სთქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. ი. ტ. გოლიაკოვმა, — უმაღლესმა სასამართლომ თვალსაჩინო მუშაობა ჩაატარა საბჭოთა კავშირის სასამართლო ორგანოების საქმიანობის გასაერთიანებლად.

უმაღლესი სასამართლოს ახლანდელი შემადგენლობა. ორიენტირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე. ამ სესიის მიერ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ მიღებულმა კანონმა სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს დააკისრა ჩვენი ქვეყნის ყველა სასამართლო ორგანოს საქმიანობის ზედამხედველობა. ამოცანა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ გამოსწორებულ იქნას მცდარი გადაწყვეტილებანი, — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი სასამართლოებს უნდა აძლევდეს პრინციპიულ სახელმძღვანელო მითითებებს სასამართლო პრაქტიკის საკითხებზე. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი, ამ სასამართლოს შემადგენლობის ამის განახლების შემდეგ, ასეთ მითითებებს უკვე იძლევა თავისი მუშაობის პირველი დღეებიდანვე. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს ახლა მინიჭებული აქვს აგრეთვე უფლება — განსახილველად გამოითხოვოს საქმეები უშუალოდ სახალხო სასამართლოებისაგან. ეს კიდევ უფრო აახლოვებს მას მოსახლეობასთან. (საკდესი).

საზაფხულო საკალენდარო ნავიგაცია

სამოქალაქო ავიაციის სამხრეთ ტრასებზე 1 მაისიდან იხსნება საზაფხულო საჰაერო ნავიგაცია. ოდესა—ხარკოვის, თბილის — სოხუმის, ერევან—თბილისის და სხვა ხაზებზე ყოველდღიურად იმუშაებენ საფოსტო-სამგზავრო თვითმფრინავები. მოსკოვ—სოჭის საჰაერო ტრასაზე, სადაც გაცხრველებული მოძრაობაა. 5 მაისიდან მოკიდებული თვითმფრინავი ყოველდღე გამოვა მოსკოვიდან. 15 მაისს გაიხსნება მოსკოვ—ტაშკენტის საჰაერო ხაზი.

უკანასკნელი ცნობები

გელგიის აკრძალული ზონის დარღვევა გერმანიის თვითმფრინავის მიერ

ბრიუსელი, 20 აპრილი (საკდესი). გუშინ კელნ-პარიზის ხაზის გერმანიის სამგზავრო თვითმფრინავმა დაარღვია აკრძალული ზონა ლიეჟის მახლობლად. ბელგიის სამხედრო თვითმფრინავებმა აიძულეს გერმანიის თვითმფრინავი ძირს დაშვებულიყო. გაჩხრეკის შემდეგ თვითმფრინავი გაანთავისუფლეს. როგორც ბელგიის პრესა იუწყება, გერმანიის ამ თვითმფრინავმა უკანასკნელ დღეებში რამდენჯერმე დაარღვია ბელგიის აკრძალული ზონები.

ინგლისის საომარი მზადება

ლონდონი, 19 აპრილი (საკდესი). ინგლისის პრესა ბევრს სწერს იმ საომარ ღონისძიებებზე, რომლებიც ტარდება თვითონ ინგლისში, ბრიტანეთის დომინიონებსა და კოლონიებში. კერძოდ იუწყებიან, რომ მდინარე კლაიდის შესართავთან, სადაც ქალაქი გლაზგო მდებარეობს, სპეციალურ ღობურებს აგებენ. ასეთსავე ღობურებს აგებენ ფორტის ყურეს გასასვლელთან, სადაც მდებარეობს ქალაქი ედინბურგი.

გაზეთები იუწყებიან, რომ ხაიფის ნავსადგურის (პალესტინა) შესასვლელთან ღობურებს აგებენ. გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" ჰონკონგელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გუშინ დიწყო მოლაპარაკება იტალიისა და ურგრეთის მთავრობათა წარმომადგენლებს შორის. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ გუშინდელი საუბარი ეხებოდა ურგრეთის მთავრობის ტერიტორიულ პრეტენზიებს რუმინეთისადმი.

გაზეთი „დეილი ექსპრესის" რომაელი კორესპონდენტის სიტყვით, გუშინ აგრეთვე განხილულ იქნა საკითხი იმის შესახებ, რომ ურგრეთმა იუგოსლავიას შესთავაზოს თავდაუსხმელობის პაქტი იმ პირობით, თუ იუგოსლავია დასთანხმდება შეუერთდეს „ღერძის" მონაწილეებს. იმის შემდეგ, როდესაც იუგოსლავია ურგრეთის წინადადებას დადებითად უპასუხებს, იტალია დასთანხმდება იუგოსლავიის საზღვრების გარანტირებას. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ იუგოსლავიის საზღვრებთან თავმოყრილია გერმანიის, იტალიისა და ურგრეთის ჯარი. ამასთან დაკავშირებით იუგოსლავიის მთავრობა ატარებს სიფრთხილის ღონისძიებებს, კერძოდ ადიდებს რეგულარული არმიის კონტინგენტს.

ინგლისის პრესა გერმანიის გეგმების შესახებ დანციგის მიმართ

ლონდონი, 18 აპრილი (საკდესი). ინგლისის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს გერმანიის გეგმებს დანციგის მიმართ.

გაზეთი „ნიუს ქრონიკლი" სწერს, რომ დანციგის ბედი, შეიძლება, უახლოეს დღეებში გადაწყდეს.

„ნიუს ქრონიკლი", აგრეთვე სხვა გაზეთები იუწყებიან, რომ პოლონეთის მთავრობამ „ლონდონიდან მიიღო მეგობრული რჩევა—დაიწყოს მოლაპარაკება დანციგის შესახებ".

გაზეთი „დეილი მეილის" ბერლინელი კორესპონდენტი, რომელიც დაახლოებულია ფაშისტურ წრეებთან, სწერს, რომ „სწარმოებს მეგობრული მოლაპარაკება" დანციგის შესახებ. გერმანია მოითხოვს არა მარტო დანციგის შეერთებას გერმანიასთან, არამედ აგრეთვე სამი მილის სიგანის ტერიტორიის გადაცემას პოლონეთის კორიდორში, რათა „გერმანია აღმოსავლეთ პრუსიას დაუკავშირდეს".

ფონ-პაპენის დანიშვნა გერმანიის ელჩად თურქეთში

ბერლინი, 19 აპრილი (საკდესი). გერმანიის ახალ ელჩად თურქეთში დაინიშნა ფონ-პაპენი.

იტალია-უნგრეთის მოლაპარაკება

ლონდონი, 19 აპრილი (საკდესი). გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" რომაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გუშინ დაიწყო მოლაპარაკება იტალიისა და ურგრეთის მთავრობათა წარმომადგენლებს შორის. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ გუშინდელი საუბარი ეხებოდა ურგრეთის მთავრობის ტერიტორიულ პრეტენზიებს რუმინეთისადმი.

გაზეთი „დეილი ექსპრესის" რომაელი კორესპონდენტის სიტყვით, გუშინ აგრეთვე განხილულ იქნა საკითხი იმის შესახებ, რომ ურგრეთმა იუგოსლავიას შესთავაზოს თავდაუსხმელობის პაქტი იმ პირობით, თუ იუგოსლავია დასთანხმდება შეუერთდეს „ღერძის" მონაწილეებს. იმის შემდეგ, როდესაც იუგოსლავია ურგრეთის წინადადებას დადებითად უპასუხებს, იტალია დასთანხმდება იუგოსლავიის საზღვრების გარანტირებას. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ იუგოსლავიის საზღვრებთან თავმოყრილია გერმანიის, იტალიისა და ურგრეთის ჯარი. ამასთან დაკავშირებით იუგოსლავიის მთავრობა ატარებს სიფრთხილის ღონისძიებებს, კერძოდ ადიდებს რეგულარული არმიის კონტინგენტს.

საფრანგეთის გემის დაღუპვა

პარიზი, 19 აპრილი (საკდესი). გუშინ ჰავრში ხანძრისაგან დაიღუპა საფრანგეთის გემი „პარიზი" 34,5 ათასი ტონა წყალწყვისა. ავრცელებენ ხმებს, გემის დაღუპვა უცხოელი აგენტების მიერ ჩადენილი მავნებლური აქტის შედეგიაო. გაზეთი „პარი მიდი" ამტკიცებს, რომ ორი დღის წინათ მიღებულ იქნა ცნობები, გემ „პარიზის" და გემ „ნორმანდიის" წინააღმდეგ მავნებლური აქტი მზადდებაო. ამასთან დაკავშირებით გაძლიერებულ სიფრთხილის ღონისძიებანი და საფრანგეთის ამ ორი გემის დაცვა. მიუხედავად ამისა, გემ „პარიზს", როგორც აღნიშნავენ, ერთსადაიმავე დროს ორ ადგილას წაუკიდეს ცეცხლი.

ცეცხლი წაუკიდეს გემის ამერიკაში გასვლის წინადღით. გემს უნდა წაელო საფრანგეთის ექსპონატები ნიუ-იორკის საერთაშორისო გამოფენისათვის. უკანასკნელი ცნობებით, ექსპონატებიანი ყუთები, გარდა ერთისა გადარჩენილია.

საბჭოთა მწერლების მისალმება ამერიკელ მწერალთა ლიგისადმი

ამერიკის მწერალთა კონგრესთან დაკავშირებით, რომელიც ნიუ-იორკში იხსნება, საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა გაგზავნა წერილი, რომლითაც მიესალმება ამერიკული ლიტერატურის მოღვაწეებს, დიადი, მეგობარი ხალხის წარმომადგენლებს.

— ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენი კონგრესის მნიშვნელობას, — ნათქვამია მისალმებაში.—ეხი იმ დროს იკრიბება, როდესაც პრინციპულსა და გაბედულ გადაწყვეტილებებს მოითხოვს. 160 წლის წინათ, როდესაც ახალგაზრდა ამერიკელი ხალხი თავისი დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა, ევროპის საუკეთესო ადამიანები დაეხმარნენ ოკეანგალმელ დემოკრატიას. ყველა ქვეყნის მწერლები ეწეოდნენ ამერიკის რევოლუციის იდეალების პროპაგანდას. მეფის რუსეთში მწერალმა ალექსანდრე რადიშჩევმა, რომელიც ციმბირს გადაასახლეს თავისი პოლიტიკური იდეებისათვის, ნამდვილი ჰიმნი შეჰქმნა ამერიკელი ხალხის განთავისუფლების აღსანიშნავად. ისტორიამ ერთმანეთს დაუკავშირა ცალკეულ ხალხთა ბედი. დადგა დრო, როდესაც ამერიკის პროგრესიულმა ძალებმა უნდა აიმაღლონ თავიანთი ხმა მთელი ხალხების დათრგუნვილი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად ახალი ტირანიის წინააღმდეგ. ჩაურევლობის, ნეიტრალიტეტის ანდა თვით იზოლაციისათვის თავის შეფარება სასაცილო გახდა.

სანამ მოსყიდული პრესა ცდილობს ნეიტრალიტეტის ზღაპრით მიაძინოს ცხოვრების მაჩანჩალები, ფაშისტური ურჩხული ანადგურებს მთელი სახელმწიფოების დამოუკიდებლობას, თვითნებურად სცვლის მსოფლიოს რუკას და ლამის ყელში სწვდეს მძინებელ მსხვერპლს. ფაშისტური აგრესია საშიში და ულმობელია, თუ მას თავის გზაზე არ ხვდება გაბედული წინააღმდეგობა; ამ შემთხვევაში მისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენენ არც მთები, არც ოკეანეები. მაგრამ ფაშისტური რეაქცია საზიზღრად მხდალია, როდესაც წააწყდება მთელი საზოგადოებრივი ძალების დარაზმულობასა და ერთიანობას, ძალებისა, რომელთაც შესწევთ უნარი იბრძოლონ მშვიდობიანობისა და კულტურისათვის. ამ ერთიანობის შექმნის საქმეში როლი მწერლისა, რომელსაც ბზარია ხალხის უფართოესი მასის ფიქრები და იმედები, მეტად დიდია. დარწმუნებული ვართ, რომ ამერიკელ მწერალთა ლიგა ბოლომდე მოიხდის თავის ვალს კაცობრიობის წინაშე.

წერილს ხელს აწერენ ნ. ასეევი, ვ. ვიშნევსკი, ვ. გერასიმოვა, ა. კარავაევა, ვ. კატაევი, ა. კორნეიჩუკი, ი. კუპალა, ვ. ლებედევ-კუმაში, ა. მაშაშვილი, პ. პავლენკო, ლ. სობოლევი, ა. ტოლსტოი, ა. ფადეევი, კ. ფედინი, მ. შოლოხოვი.

(საკდესი).

საინფორმაციო ცნობა

საკ. (ბ) ცკ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის მუშაობის შესახებ

1939 წლის 7-13 აპრილს შესდგა საკ. (ბ) ცკ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმი.

პლენუმმა განიხილა მოხსენება „საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით საკ. (ბ) ცკ ორგანიზაციების მუშაობის შესახებ" — მომხსენებელი საკ. (ბ) ცკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ნ. მიხაილოვი** და ბელორუსიის (ბ) ცკ ცენტრალური კომიტეტის და საკ. (ბ) ცკ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მოხსენებანი „საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკ. (ბ) ცკ ცენტრალური კომიტეტის მიერ პროპაგანდის შესახებ მიღებული დადგენილების შესრულებაზე" — მომხსენებლები: ბელორუსიის (ბ) ცკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. ე. ეფროიკინი, საკ. (ბ) ცკ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. ი. ბუჩურინი.

მოხსენებათა გამო მიღებული სათანადო დადგენილებანი ქვეყნდება.

პლენუმმა ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობაში შეიყვანა და საკ. (ბ) ცკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროში აირჩია ამხ. ი. ტ. გრიშინი, ნ. ნ. კატკოვი, ა. მ. პეგოვი, ა. ა. პოლეტაევი.

მეჩაიე სტახანოველთა თათბირი მახარაძეში

მახარაძე, (საკ. კორ.). 19 აპრილს მახარაძის რაიონში ჩატარდა მეჩაიე სტახანოველი კოლმეურნეების, აგრონომების, აგროტექნიკოსების, კოლმეურნეობათა თავჯდომარეების, ბრიგადირებისა და ჯგუფის ხელმძღვანელების სარაიონო თათბირი, რომელსაც 395 კაცი დაესწრო. თათბირმა მოისმინა მტს-ის დირექტორის ამხ. ერმილე გობრონიძის მოხსენება რაიონში ჩაის ფოთლის კრეფისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ. მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში ჩონაწილეობა მიიღო 40-ზე მეტმა კაცმა. სიტყვებით გამოსულმა სტახანოველმა კოლმეურნეებმა: შ. შველიძემ, კატო ნინიძემ, შურა კვაჭანტირაძემ, ქეთო ხურციძემ, მარიამ წიტაიშვილმა, პარმენ გოგიტიძემ და სხვებმა აიღეს ახალი ვალდებულებანი ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ ვასო ჯაბუამ აიღო ვალდებულება, — ჩაის კრეფის წლიური გეგმა 801.000 კილოგრამის რაოდენობით პირველი ოქტომბრისათვის შეასრულოს და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბაროს 20.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ჯუმათის კოლმეურნეობის სტახანოველმა ნადია დონდოლაძემ გაიაზადა, რომ ის კისრულობს 1939 წელს კოლმეურნეობაში გამოიმუშავოს 500 შრომადღე და დღეღამეში მოჰკრიფოს 100 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ჩაის ფოთლის კრეფისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი ამხ. გ. თვალჭრელიძე.

სტახანოველ და დამკვრელ კოლმეურნეთა სარაიონო თათბირმა ერთსულოვნად მიიღო ქობულეთისა და ლანჩხუთის რაიონების გამოწვევა ჩაის ფოთლის კრეფის სანამუშოდ ჩატარებისათვის სოციშეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ და თავის მხრივ შეჯიბრებაში გამოიწვია აფხაზეთის ასს რესპუბლიკა.

ლეონიდე მახარაძე

თბილისის ინჯენიგენციის საერთო-საქალაქო კრება

ამხ. შ. დადიანის სიტყვა

დრამატურგი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი

საბჭოთა ქვეყანა. საბჭოთა ხალხი დღითიდღე იზრდება ზღაპრული დევგმირივით.

საბჭოთა ინტელიგენცია, რომელიც ხალხიდან არის გამოსული, ხალხს ემყარება. მას ფართო შესაძლებლობა აქვს თავისი ნიჭისა და ცოდნის გამოყენებისათვის, ყველა პირობები აქვს თავისუფალი, ნაყოფიერი მუშაობისათვის.

საბჭოთა ინტელიგენტი — ხალხის მსახურია, თავისი დიდი სოციალისტური სამშობლოს ღირსეული მოქალაქეა. იგი მოწოდებულია იყოს კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი, და ეს მაღალი დანიშნულება მისთვის ღირსების და ბედნიერების საქმეა. ცხადია, რომ წარსულში ასე არ იყო. ქართველი ინტელიგენცია მოწყვეტილი იყო ხალხს, იგი არ ემყარებოდა მასებს, არ ჰქონდა ნიადაგი.

წარსულში ქართველი ინტელიგენტი იყო თვითმპყრობელობის მსახური, იგი სკოლაში თავიდანვე იზრდებოდა როგორც ცარიზმის „მოხელე“. ინტელიგენცია და ხალხი ყოველთვის ერთმანეთს იყვნენ დაშორებულნი. მაგრამ, რა თქმა უნდა, გამონაკლისი იყო მაშინდელ ინტელიგენციაშიც, იყვნენ მოწინავე, ნათელი გონების ადამიანები. საკმარისია გავიხსენოთ ისეთები, როგორიც იყო ნიკო ნიკოლაძე. აქვე უნდა დავასახელოთ XIX საუკუნის დიდი მწერლები ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. მათ ორივეს კარგად ესმოდათ ინტელიგენციის როლი ხალხის ცხოვრებაში და თავისი შემოქმედებით ღრმა კვალი გაავლეს კულტურულ სარბიელზე.

საბჭოთა ხელისუფლებამ დაამსხვრია და მოსპო ბორკილები, რომლითაც ხალხი იყო შებოჭილი. ქართველი ინტელიგენცია გაიზარდა, ნამდვილი ხალხური ინტელიგენცია გახდა. იგი გაიწმინდა სიბილწისაგან, მის წრეში შეპარული საზიზღარი გამცემლებისა და ჯაშუშებისაგან. ქართველმა ინტელიგენციამ მრავალად წამოაყენა ბოლშევიკური პარტიისა და ხალხის ერთგული, თავდადებული მუშაკები. ჩვენ გვაქვს ჩვენი მწერლების მიერ შექმნილი რომანები, პოემები, პიესები, სიმღერები, რომლებიც გამსჭვალულია ჩვენი დიადი სტალინური ეპოქის მძლავრი სულით. **(ტაში).**

საბჭოთა ინტელიგენცია გრძნობს პარტიისა და მთავრობის ყოველდღიურ მზრუნველობას. ყველამ ვიცით, რარიგად აფასებს ჩვენი ქვეყანა თავის ინტელიგენციას, როგორ სტალინურად ზრუნავს იგი ხალხის საუკეთესო და ღირსეულ შვილებზე. ამ მზრუნველობას ღრმად გრძნობენ მწერლები. თვითეულ ჩვენგანს ახსოვს, თუ რა ყურადღებას იჩენდა და იჩენს ჩვენდამი ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი, ჩვენი საბჭოთა დაზვერვის სტალინური სახკომი. მისი საყვარელი სახელის მარტო გახსენება თვითეულ ჩვენგანში სიხარულს ჰბადებს. ეს სახელია ლავრენტი ბერია **(ტაში).**

როგორც მზრუნველი პედაგოგი, იგი გულისხმიერად და ყურადღებით ხელმძღვანელობდა საბჭოთა მწერლებს, — აღგვაფრთოვანებდა, შთაგვაგონებდა ახალ თემებს და ჩვენ, მისი მზრუნველობითა და დახმარებით წაქეზებულნი, განსაკუთრებული შემოქმედებითი გატაცებით ვმუშაობდით.

პირადად ჩემთვის დაუვიწყარია მისი მზრუნველობა ჩემი შემოქმედებისადმი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მე ვწერდი პიესას „ნაპერწკლიდან“. მან ბევრი საკითხი გამიშუქა და ჩემთვის ყველაფერი ნათელი შეიქნა.

ამ მზრუნველობით დღესაც გარშემორტყმული არიან ყველა მწერლები, ხელოვნების ყველა მუშაკები, მთელი ინტელიგენცია.

სოციალისტურმა რევოლუციამ ჩვენს ქვეყანაში უდიდესი შესაძლებლობანი გადაუშალა ინტელიგენციას, მთელ ხალხს. დიადი მოძავალი ისახება ჩვენს წინსვლაში. ჩვენ მტკიცედ მივდივართ ახალ-ახალი გამარჯვებებისა და მიღწევებისაკენ, იმიტომ რომ ჩვენ მივგვიძღვის ჩვენი ძლევამოსილი კომუნისტური პარტია, ჩვენი ბრძენი და დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი **(ტაში).**

ამხ. ი. ჯავახიშვილის სიტყვა

აკადემიკოსი



ჩვენმა საყვარელმა ბელადმა და მასწავლებელმა დიდმა სტალინმა თავის ისტორიულ მოხსენებაში საკ. ჯ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გენიალური შორსმჭვრეტელობით მოგვცა საერთაშორისო მდგომარეობის ბრძნული ანალიზი, ყოველივე იმის ანალიზი, რაც ამჟამად ხდება კაპიტალისტურ სამყაროში.

დიდმა სტალინმა საბჭოთა ინტელიგენციას მესამე ხუთწლედისათვის დაუსახა უდიდესი ამოცანები კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისა და კულტურული მშენებლობის საქმეში, — მოწინავე საბჭოთა მეცნიერების შემდგომი აღმავლობისა და წარმატებებისათვის განუწყვეტელი ბრძოლის ამოცანები. ჩვენთვის, მეცნიერ მუშაკთა ძველი თაობისათვის, პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს მომზადება ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკების ახალი კადრებისა, რომლებიც იბრძოლებენ საბჭოთა მეცნიერების ახალი წარმატებებისა და გამარჯვებებისათვის.

ჩვენ ვალდებული ვართ ჩვენი მეცნიერული მუშაობით ვემსახუროთ ხალხს, ვალდებული ვართ ვიმუშაოთ ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ. საბჭოთა საქართველოს საბჭოთა ინტელიგენციისა და მეცნიერი მუშაკების წინაშე გადაშლილია შემდგომი ნაყოფიერი მუშაობის ფართო პერსპექტივები. დიდი სტალინის მუდმივი მამობრივი ზრუნვა აღაფრთოვანებს საბჭოთა ინტელიგენციას და მეცნიერ მუშაკებს ყველა იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც ჩვენს წინაშე დასახულია მესამე სტალინურ ხუთწლედში.

ამ ამოცანებს ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ. ჩვენი უდიდესი სიხარული და ბედნიერება იქნება შრომა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, ჩვენი დიდი საბჭოთა ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ. **(ტაში).**

ამხ. ე. გვარამაძის სიტყვა

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი

ისტორიულ დღეებში, როდესაც კრემლში მიმდინარეობდა ბოლშევიკების პარტიის XVIII ყრილობის სხდომები, ყველა ჩვენი აზრები და მისწრაფებანი შეერთებული იყო პარტიის საყვარელი შვილების, XVIII ყრილობის მონაწილეების აზრებთან, ნებისყოფასთან და მისწრაფებებთან.

მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის **(ტაში)**, მოხსენებას მთელი ჩვენი ქვეყანა უდიდესი სიყვარულით ეცნობოდა.

აუღელვებლად არ შეიძლებოდა წაკითხვა სიბრძნითა და უდიდესი მზრუნველობით აღსავსე სტალინური სიტყვებისა ხალხური სოციალისტური ინტელიგენციის შესახებ.

დიდმა ბელადებმა — ლენინმა და სტალინმა გაგვიხსნეს გზა ცოდნის მწვერვალებისაკენ, მეცნიერებისა და ხელოვნების მწვერვალებისაკენ. ეს გვავალებს ჩვენ გავამართლოთ დიდი ნდობა დაძაბული მუშაობით ხალხის საკეთილდღეოდ, კომუნიზმის საქმისათვის, ლენინ-სტალინის საქმისათვის.

უდიდესია ქართული მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის წვლილი. ჩვენში გაიზარდნენ მრავალრიცხოვანი რაზმები ახალგაზრდა მეცნიერებისა, ინჟინრებისა, ექიმებისა, აგრონომებისა, მწერლებისა, არტისტებისა, მხატვრებისა, მოქანდაკეებისა, რომლებიც თავდადებულად მუშაობენ ხალხის საკეთილდღეოდ, უსაზღვროდ ერთგულნი არიან კომუნიზმის საქმისა.

პარტიისადმი, მშობლიური სტალინისადმი ეს ერთგულება, ეს უსაზღვრო სიყვარული საქართველოს ინტელიგენციაში აღზარდა ამხანაგ ლ. პ. ბერიამ **(ტაში)**, რომლის სახელთანაც განუყრელად არის დაკავშირებული ქართული ნაციონალური კულტურის აყვავება. ამხანაგი ლ. პ. ბერია მზრუნველობით ზრდიდა შემოქმედებითი მუშაკების კადრებს, ასწავლიდა მათ სიფხიზლეს, შეურიგებელ სიძულვილს ხალხის მტრებისადმი.

უძლეველია ლენინ-სტალინის საქმე, უძლეველი არიან მთელი მსოფლიოს მშრომელთა მილიონები, რომელთა სიყვარული და ერთგულება დიდი სტალინისადმი უსაზღვროა.

დიდი სტალინი — ჩვენი გამარჯვებების დროშაა! ამ დროშით ჩვენ მტკიცედ მივდივართ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. **(ტაში).**

ამხ. კ. ზავრიევის სიტყვა

პროფესორი

თავის ისტორიულ საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XVIII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა დიდი ყურადღება დაუთმო ინტელიგენციის საკითხს და მკვეთრი ზღვარი გაავლო რევოლუციამდელ, მემამულეებისა და კაპიტალისტების მომსახურე ინტელიგენციასა და ახალ, ხალხურ, სოციალისტურ ინტელიგენციას შორის.

ჩვენ, სსრ კავშირის მეცნიერ მუშაკებს, გვაქვს მძლავრი იარაღი, — მარქსისტულ - ლენინური თეორია, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ბეთოდი. ჩვენს წინაშე მაგალითი დიდი, ბრძენი მეცნიერისა, რომელიც გვიჩვენებს ამ მეთოდის გამოყენების ნიმუშებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე რთული საკითხების ანალიზის დროს.

თეორია ჩვენს ქვეყანაში მჭიდროდ არის დაკავშირებული პრაქტიკასთან, მეცნიერული მუშაობა — ხალხის ინტერესებთან. ჩვენ ნათლად ვგრძნობთ, რომ ჩვენს მიერ გაყვანილი რკინიგზის თვითეული კილომეტრი, მშენებლობაში ჩაწყობილი ბეტონის თვითეული მეტრი, უმაღლეს სასწავლებელში სასწავლო პროცესის თვითეული ელემენტი, — აგურებია კომუნისტური საზოგადოების შენობის აგებაში, კაცობრიობის სიხარულისა და ბედნიერების შენებაში. ამ დიად საქმეში მონაწილეობის შეგნება სიამაყით აღავსებს ჩვენს გულს, აღგვაფრთოვანებს ახალი მიღწევებისათვის.

თბილისის ლენინის სახელობის ტრანსპორტის ინჟინერთა მრავალერიან ინსტიტუტში პარტიის XVIII ყრილობის ისტორიულმა დღეებმა გამოიწვიეს მეცნიერი და ტექნიკოსი მუშაკებისა და სტუდენტების მთელი კოლექტივის ენტუზიაზმი, და ჩვენც ავიღეთ მთელი რიგი ვალდებულებები მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის შეჯიბრებაში ჩაბმასთან დაკავშირებით.

გაუმარჯოს ჩვენს ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო მეგობარს ამხანაგ სტალინს! **(მუხარე ტაში).**

გაუმარჯოს საუკეთესო სტალინელს, ქართველი ინტელიგენციის მეგობარს ამხანაგ ლ. პ. ბერიას! **(ტაში).**

ამხ. პ. მაშაშვილის სიტყვა

პოეტი

ამხანაგებო! საბჭოთა საქართველოს მწერლებმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში თავიანთ შემოქმედებითს მუშაობაში დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ჩვენ საბჭოთა ლიტერატურის მოწინავე რიგებში ვდგევართ. ჩვენ ავსახავთ ბედნიერი ქართველი ხალხის ცხოვრებასა და საუკეთესო მისწრაფებებს. საქართველოს საბჭოთა მწერლები ორგანიულად შეადგენენ ერთ მთელს თავის ხალხთან. ხალხთან ერთად, რომელსაც სახელოვანი ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობს, ისინი აქტიურად მონაწილეობენ დიად სოციალისტურ მშენებლობაში, ამრავლებენ თავისი აყვავებული სამშობლოს გამარჯვებებს.

ხალხმა, პარტიამ, მთავრობამ ღირსეულად შეაფასეს მწერლების მუშაობა. საქართველოს მწერლები თავის რიგებში ითვლიან 13 ორდენოსანს. ეს მაღალი ჯილდო გვაყალებს კიდევ უფრო უკეთ და ნაყოფიერად ვიმუშაოთ.

ჩვენ, მწერლები, ბედნიერი ვართ იმით, რომ ვხედავთ ლენინსა და სიმღერებს, რომლებშიც ავსახავთ დიდი სტალინის სახეს.

არსად, არცერთ სხვა ქვეყანაში მწერლები არ სარგებლობენ ისეთი პატივისცემით, როგორითაც სარგებლობენ სოციალისტურ ქვეყანაში. დიდმა სტალინმა — საბჭოთა მწერლების პირველმა მეგობარმა **(ტაში)** — მწერლებს უწოდა „ადამიანის სულის ინჟინრები“. ჩვენ, საქართველოს საბჭოთა მწერლები, ჩვენი გარშემავებული მუშაობით შევეცდებით გავამართლოთ ეს საპატიო სახელწოდება.

ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ იმ მზრუნველობასა და იმ ყურადღებას, რასაც ჩვენდამი მთელი რიგი წლების მანძილზე იჩენდა ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი ამხანაგი ლ. პ. ბერია **(ტაში)**. მისი უშუალო ყოველდღიური დახმარებით საქართველოს საბჭოთა ხელოვნება და ლიტერატურა უჩვეულოდ გაიფურჩქნა.

ჩვენ, მწერლები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, არასოდეს არ ვივიწყებთ კაპიტალისტურ გარემოცვას, რომელშიც ჩვენი ქვეყანა იმყოფება. ჩვენ ყოველ წუთს მზად ვართ ჩავდგეთ საბჭოთა პატრიოტების მრავალმილიონიანი არმიის რიგებში, რათა მკერდით დავიცვათ მტრებისაგან ჩვენი სოციალისტური სამშობლო.

დიდი სტალინის გენიალური მოხსენება საკ. ჯ. პ. (ბ) ისტორიულ XVIII ყრილობაზე, მესამე სტალინური ხუთწლედის გრანდიოზული გეგმა ქართული ლიტერატურის შემდგომი განვითარების საფუძველია **(ტაში)**.

ამხ. ლ. გუდიაშვილის სიტყვა

მხატვარი

საკ. ჯ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებაში, ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებებში, ყრილობის მთელი რიგი დელეგატების გამოსვლებში და ყრილობის გადაწყვეტილებებში დასახულია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის გზები. ეს არის სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზები.

დიდი სტალინის ბოხსენებამ, გამსჭვალულმა გენიალური სიბრძნით, და ყრილობის გადაწყვეტილებებმა გამოიწვიეს საბჭოთა ინტელიგენციის უდიდესი აღფრთოვანება და შემოქმედებითი ენტუზიაზმი, უფრო მჭიდროდ დარაზმეს მისი რიგები კომუნისტური პარტიის გარშემო, ბრძენი ბელადის, ბამისა და მასწავლებლის, მშობლიური სტალინის გარშემო.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით გაიფურჩქნა ხელოვნების ყველა დარგი. საბჭოთა საქართველოში გაიზარდნენ ახალი მხატვრები და მოქანდაკენი. მათი მუშაობის შედეგია გამოფენა სურათებისა ამხანაგ ლ. პ. ბერიას წიგნის—„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ თემაზე, წიგნის, რომელიც ჭვირფასი განძია ჩვენი სახელოვანი ლენინურ-სტალინური პარტიის ისტორიის შესწავლის საქმეში **(ტაში)**.

მარქს-ენგელს - ლენინ - სტალინის რევოლუციური თეორიის დაუფლებასთან ერთად საბჭოთა საქართველოს მხატვრები ეცდებიან დაეუფლონ მაღალი ოსტატობის ახალ ნიმუშებს, განუწყვეტლად იმუშაონ მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაზე, ერთგულად ემსახურებიან თავის ხალხს, კომუნიზმის საქმეს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელოვნების შთამგონებელს, საბჭოთა ინტელიგენციის მეგობარს, ხალხთა ბელადსა და მასწავლებელს — დიდ სტალინს! **(ტაში).**

ამხ ა. ქურდიანის სიტყვა

არქიტექტორი

მთელი ჩვენი ქვეყნის, მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ბოლშევიკების პარტიის XVIII ყრილობა უდიდესი მოვლენა იყო. დიადია საბჭოთა ხალხის მიღწევები, დიადია ის ამოცანები, რომლებიც ისტორიულმა ყრილობამ დაგვისახა.

ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის ბრძნული, გენიალური მითითებანი, რომლებიც მან მოგვცა თავის შესანიშნავ მოხსენებაში პარტიის XVIII ყრილობაზე, მთელ ჩვენს ხალხს — მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას — აღაფრთოვანებენ შემდგომი ბრძოლისათვის, შემდგომი გამარჯვებებისათვის. მომავალი ბედნიერებით ასხივოსნებენ ეს მითითებანი მთელ მოწინავე, პროგრესიულ კაცობრიობას. ჩვენ შევნებაში ღრმად შეიჭრა სოციალისტური საზოგადოების შენების ძლევამოსილად დამთავრებისა და კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის იდეები, ამოცანები და გზები.

პარტიის XVIII ყრილობამ განსაკუთრებული სიცხადით დასახა ჩვენი შემდგომი წინსვლის ეტაპები, კონკრეტული და გასაგებია მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმით დასახული გრანდიოზული ამოცანები.

ამ გეგმის წარმატებით განხორციელების საქმეში საპატიო და პასუხსაგებია საბჭოთა ინტელიგენციის როლი.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე საქართველოს მშრომელებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდა დიდი სტალინის ერთგული მოწაფე ამხ. ლ. პ. ბერია, თავისი რიგებიდან მრავლად წამოაყენეს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სტახანოველები, მეცნიერებისა და ხელოვნების ბრწყინვალე ღირებულებები, რომლებიც უსაზღვროდ ერთგული არიან სოციალისტური სამშობლოსი, ბოლშევიკური პარტიისა, მშრომელი კაცობრიობის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისა.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის მოძღვრებას!

გაუმარჯოს ბოლშევიკების პარტიას და ჩვენს ძვირფას, საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს **(ტაში)**.

ამხ. ა. აბაკარიანის სიტყვა

რეჟისორი

ამხანაგებო! ჩვენი საბჭოთა ინტელიგენცია ყველაზე ბედნიერი ინტელიგენციაა მსოფლიოში. ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ გამოგვზარდა დიადმა კომუნისტურმა პარტიამ. ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ვზრდის მთელი კაცობრიობის ნათელ გენია — დიდი სტალინი **(ტაში)**.

ბურჟუაზია თავის ინტელიგენციას ზრდის მესაკუთრეობის სულისკვეთებით, მშრომელთა გაბჭარებისადმი ბატონური, ჭიდმაღლური დამოკიდებულების სულისკვეთებით. ცხადია, რომ ასეთ ინტელიგენციას ბურჟუაზია იღებს არა მშრომელთა წრიდან.

ჩვენი საბჭოთა, ხალხური სოციალისტური ინტელიგენციისათვის ყოველივე ეს სრულიად უცხოა. ჩვენი ინტელიგენცია ერთგულად ემსახურება საბჭოთა ხალხს, იგი მუშაობს ყველა მშრომელთან ერთად, თავდადებით იბრძოლებს კომუნიზმის გამარჯვებისათვის, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის იდეების გამარჯვებისათვის მთელს მსოფლიოში.

გაუმარჯოს დიად კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს კაცობრიობის გენიოსს, ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს — დიდ სტალინს! **(ტაში).**

ამხ. ი. მენთეშაშვილის სიტყვა

სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტი

კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობაზე თავის ბრწყინვალე საანგარიშო მოხსენებაში დიდმა სტალინმა აღნიშნა, რომ ერთერთ ძირითად ამოცანას ამჟამად წარმოადგენს მშრომელთა კომუნისტური აღზრდა. ამ უდიდესი ამოცანის გადასაჭრელად ჩვენ დაუღალავად და გულმოდგინედ უნდა ვიმუშაოთ, უნდა დავეუფლოთ მარქსიზმ - ლენინიზმის თეორიასა და პრაქტიკას. არავის არ მოეთხოვება ისე, როგორც ჩვენ, მშრომელ საბჭოთა ინტელიგენციას, მარქსიზმ - ლენინიზმის გენიალური კლასიკოსების — მარქს - ენგელს-ლენინ - სტალინის მოძღვრების შეთვისება. საბჭოთა მშრომელმა ინტელიგენციამ, მეცნიერული მარქსიზმის მძლავრი იარაღით შეიარაღებულმა, განსაკუთრებით აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მოსახლეობის ფართო ფენების კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

ჩვენს დიად ქვეყანაში ყველა პირობებია შექმნილი შემდგომი კულტურული განვითარებისათვის, წინსვლისათვის.

და თუ ჩვენი სამშობლოს რომელიმე საზღვარზე კვლავ გამოჩნდება ახალი ხასანი, თვითეული ჩვენგანი, თვითეული პატიოსანი საბჭოთა ინტელიგენტი მოიქცევა ისე, როგორც მოიქცა ექიმი ბეგოულევი. როდესაც მისმა მეთაურმა ხელჩართულ ბრძოლაში უთხრა მას დაბრუნებულიყო ზურგში, ექიმმა უპასუხა: „მე ვიცი ცბილების მკურნალობა, მაგრამ როდესაც საჭიროა, ცბილების ჩამტვრევის სპეციალისტიც ვარ“.

ამხანაგებო! ჩვენ ყველანი სპეციალისტები ვართ, მაგრამ როდესაც საჭირო იქნება, ჩვენ მივბაძავართ ექიმ ბეგოულევის მაგალითს და ფაშისტების ყბებზე, სამურაების ღრძილებზე დავამტკიცებთ, რომ ვართ ცბილების ჩამტვრევის სპეციალისტები. **(ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა მშრომელ ინტელიგენციას და მის მუშაობას მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში!

გაუმარჯოს სტალინს, ბრძენ მასწავლებელს, რომელსაც მთელი კაცობრიობა მიჰყავს კომუნიზმის ნათელი სამყაროსაკენ! **(ტაში).**

ამხ. კ გამსახურდიას სიტყვა

მწერალი

ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარებამ უზრუნველჰყო საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის აყვავება, სოციალისტური კულტურის აყვავება. ეს კულტურული აღმავლობა განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის, საქართველოს საბჭოთა მწერლებისათვის.

საბჭოთა მწერლები სოციალიზმის მშენებლობის აქტიური მონაწილენი ვართ. ჩვენს ნაწარმოებებში ჩვენ ავსახავთ დიად სამუშაოებს — კოლხიდის ამოშრობას, ჩვენი ეპოქის ახალ ადამიანებს — ჩვენი ფაშრიკების, ქარხნებისა და სოციალისტური მინდვრების სტახანოველებს, ჩვენს ახალ შეძლებულ კულტურულ სასიხარულო ცხოვრებას.

საბჭოთა მწერლები — ქართველი ინტელიგენციის მოწინავე რაზმი, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი, საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინისადმი უსაზღვროდ ერთგულნი—თავისი მუშაობით შემდეგშიაც გაამართლებენ თავიანთ მაღალ სახელწოდებას. ისინი მთელ ძალღონეს, მთელ ენერგიას მოანდომებენ იმას, რათა შეასრულონ ამხანაგ სტალინის მიერ საკ. ჯ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გაკეთებულ ისტორიულ მოხსენებაში დასახული ამოცანები. **(ტაში).**

ამხ. ა. ვასაძის სიტყვა

სსრ კავშირის სახალხო არტისტი

ისტორიული XVIII ყრილობის დღეებში მთელი საბჭოთა ხალხის ფიქრები მიპყრობილი იყო ტრიბუნისაკენ, საიდანაც გაისმოდა იმის ხმა, ვისაც 170-მილიონიანი საბჭოთა ხალხი თავისი გენიით მიჰყავს გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ, კაცობრიობის ბედნიერების მწვერვალის — კომუნისტური საზოგადოებისაკენ.

ჩვენი გული და აზრები მიპყრობილი იყო ბოლშევიკების ყრილობისაკენ, ბრძენი ბელადის, საყვარელი მამისა და მეგობრის—ამხანაგი სტალინისაკენ.

საბჭოთა ინტელიგენცია, რომელსაც ზრდის ამხანაგი სტალინი, გარემოცულია მისი მუდმივი მამობრივი მზრუნველობითა და ყურადღებით. იგი ენტუზიაზმით მუშაობს თავისი ხალხის საკეთილდღეოდ, თავისი ქვეყნის საბედნიეროდ.

ახალი საბჭოთა სოციალისტური ინტელიგენცია გამოვიდა ხალხის წიაღიდან და ხალხს ეკუთვნის. ხელოვნების საბჭოთა მუშაკების შემოქმედებითი წრე — ეს არის ხალხი. მათი შემოქმედება ხალხურია, მათი შემოქმედება თავისუფალია.

ასეთ პირობებში, ასეთ ეპოქაში ცხოვრება და შემოქმედება დიდი პატივია, დიდი სიხარულია. ჩვენ ვალდებული ვართ თვალი ვადევნოთ ცხოვრებას, ღრმად შევისწავლოთ იგი, ვიყოთ ფხიზელნი, მეტი ყურადღება მივაქციოთ სწავლას, მარქსისტულ - ლენინური თეორიის დაუფლებას.

მე — ქართული თეატრის წარმომადგინელს — სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ ქართველი ინტელიგენციის საყვარელი მეგობრის, ამხანაგ სტალინის ერთგული მოწაფის, ამხ. ლ. პ. ბერიას მუდმივი მზრუნველობისა და ყურადღების შედეგად ქართული საბჭოთა თეატრი გახდა საბჭოთა კავშირის ერთერთ წამყვან თეატრად, იგი ღირსეულად ემსახურება ლენინ-სტალინის დიად იდეებს.

რომ უფრო წარმატებით ვემსახუროთ სამშობლოს, ხალხს, ჩვენ დაუღალავად უნდა ვიმაღლიბდეთ ჩვენს პოლიტიკურ დონეს, ვიარაღდებოდეთ მარქსისტულ - ლენინური თეორიით.

გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ ინტელიგენციას!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს ინტელიგენციის საყვარელ მეგობარს ამხანაგ ლავრენტი ბერიას!

გაუმარჯოს ლენინ - სტალინის დიად პარტიას!

გაუმარჯოს კომუნიზმის დიდ მესაჭეს ამხანაგ სტალინს! **(ტაში).**

ამხ. მ. ჭიაურელის სიტყვა

რეჟისორი

საკ. ჯ. პ. (ბ) XVIII ყრილობა ლენინ - სტალინის დიადი იდეების გამარჯვების ტრიუმფი იყო.

სოციალისტური ინტელიგენცია, რომელიც სისხლხორცეულად დაკავშირებულია საბჭოთა ხალხთან, ლენინ-სტალინის პარტიასთან, — ახალი საზოგადოების ძლევამოსილი შენების აქტიური მონაწილეა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველო — დიდი სტალინის სამშობლო — გადაიქცა მოწინავე, აყვავებულ მოკავშირე რესპუბლიკად. ქართველი ხალხი, ქართველი ინტელიგენცია გამსჭვალული არიან საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით.

ჩვენი ხელოვნება, კერძოდ კინო, განიცდის დიადი აყვავებისა და აღმავლობის ეპოქას. საბჭოთა კინოს ოსტატებმა უდიდესი სიყვარულით მოჰკიდეს ხელი სტალინურ ეპოქის შესაფერი ისტორიულ-რევოლუციური ფილმების შექმნას. საბჭოთა ბელურებელმა შიილო ისეთი სურათები, როგორიცაა „ლენინი ოქტომბერში“, „თოფიანი კაცი“, „იბრძოლე მზად რისი“, „ლენინი 1918 წელში“, „მშრომელი ადამიანი“, „დიადი განთიადი“. მაღალი ნობით მაყურებლებმა ჩვენს კინოთეატრებში ღრმად განიცადეს დიდი ოქტომბრის გმირული დღეები, აღტყინებით ხედავდნენ ეკრანზე ლენინისა და სტალინის დიად სახეებს. **(ტაში).**

თვითეული საბჭოთა ეწერალი, მხატვარი, პოეტი, მუსიკოსი, რეჟისორი, მსახიობი იდგილობს იმუშაოს რევოლუციურ თემატიკაზე, ლენინისა და სტალინის დიადი სახეების განსახიერებაზე. საბჭოთა ხელოვნების თვითეული მუშაკი ამაყობს იმით, რომ აღზრდილია ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის მიერ. პარტიისა და მთავრობის ზრუნვა აღაფრთოვანებს ხელოვნების ოსტატებს შეჩოქმედებითი წარმატებებისათვის, ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერი სრულფასიანი ნაწარმოებების შექმნისათვის.

ჩვენზე, საბჭოთა საქართველოს ხელოვნების მუშაკებზე უდიდეს მზრუნველობას იჩენდა ჭარელი ხალხის ერთგული შვილი, საბჭოთა დაზვერვის სახელოვანი ხელმძღვანელი, დიდი სტალინის მოწაფე ამხანაგი ლ. პ. ბერია **(ტაში)**. მისი მეგობრული რჩევები, საქმიანი შენიშვნები ყოველთვის ჩვენი მუშაობის წარმატებას.

ახლა, როდესაც ჩვენ ვმუშაობთ ახალ ფილმზე „ფიცი“, რომელმაც უნდა ასახოს ეკრანზე სტალინის ისტორიული ფიცი, აჩვენოს, როგორ არის იგი განხორციელებული, ჩვენ ვგრძნობთ ამხანაგების კ. ჩარკვიანისა და ვ. ბაჭრაძის მუდმივ ყურადღებასა და ზრუნვას.

დიდი სტალინის სახელთან დაკავშირებულია ჩვენი მეცნიერების გამარჯვებები. დიდი სტალინის სახელთან დაკავშირებულია ჩვენი ხელოვნების გამარჯვებანი. დიდი სტალინის სახელთან დაკავშირებულია კომუნიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი.

გაუმარჯოს სტალინს! **(ტაში).**

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

მეოთხე ტური

მეოთხე ტურის პარტიებში მწვავე ბრძოლას ჰქონდა ადგილი. ყველაზე ძლიერ დამთავრდა კან - რომ წინააღმდეგის პარტია, რომელიც პირველის გამარჯვებით დასრულდა. ბელავენეცმა კარგი სტრატეგიით მოიპოვა გამარჯვება რაგოზინთან. ჩეხოვერ - ლუბენსკის, მაკაგონოვ - პანოვის და დუბინინ - ბონდარევსკის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

რაბინოვიჩს ერთხანს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა გროსმეისტერ ბოტვინიკთან, მაგრამ უკანასკნელმა შუა თამაშში მოახერხა მდგომარეობის გათანასწორება. პარტია გადაიდო. გადადებულია აგრეთვე ტოლუშ - ლისიცინის და იუდოვიჩ - ჩისტიაკოვის პარტიები.

პოგრებისკი - კოტოვის პარტია ამ დღეს არ გათამაშებულა.

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის თეატრში — „არსენა“.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში — „მთის ამბავი“.

ოპერისა და ბალეტის თეატრში—„დონ-ჟუანი“ (ტელ. № 150).

პარტკაბინეტებში

21 აპრილს ლ. გეცხოველის სახელობის პარტკაბინეტში სახლი აწყობს:

ქ. ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში—ამხ. იმედაძის ლექციას თემაზე: საბჭოთა ინტელიგენცია და მისი როლი კომუნიზმისათვის შემდგომ ბრძოლაში. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის საბჭოს წითელ დარბაზში—ამხ. გეგეშიძის ლექციას თემაზე: სოციალისტური სახელმწიფოს სტალინური თეორია. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზ